ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5587902

ნომერი: AR1847942

თარიღი : 03.09.2021

გაცემის თარიღი : 08.09.2021

გაცნობის თარიღი : 14.09.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე არაბული პ/ნ 20001008980
- თბილისი ვ.ბოჭორიშვილის ქ. N 37ბ ბ. 205

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს."ახალი ქართული გიმნაზია" კოდი: 200036497

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: სამსახური ამ ეტაპზე დოკუმენტაციას სრულყოფილად ვერ იხილავს. იმისათვის რომ ვიმსჯელოთ სად და როგორ ხდება საპროექტო შენობა-ნაგებობის, ღობის და სარეკლამო აბრის განთავსება, საჭიროა წარმოადგინოთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ყველა ობიექტის დატანით.

გარად ამისა:

1. მოთხოვნის ტექსტში დააკონკრეტეთ საპროექტო შენობა-ნაგებობის ფუნქცია, რისთვის იქნება განკუთვნილი

2. ვინაიდან ასევე ხდება ღობის და სარეკლამო აბრის მოწყობაც, შესაბამისად ნომენკლატურაში დასამატებელი იქნება "4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე" და "აბრებისა და რეკლამების განთავსება", რისთვისაც გეხსნებათ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკი

3. წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სარეკლამო კონსტრუქცია ძალიან დიდი, მასიური და ტლანქია. მოეწყოს შედარებით უფრო მცირე ზომის, მსუბუქი კონსტრუქციის სარეკლამო აბრა ან წარმოადგინეთ სხვა ალტერნატიული ვარიანტი.

ფოტომონტაჟზე ასევე დაიტანეთ ღობის და სარეკლამო აბრის გაბარიტული ზომები.

გაითვალისწინეთ: „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 37–ე მუხლის თანახმად მიწის ნაკვეთი შეიძლება შემოიღობოს არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან, ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 1,8 მეტრს. ღობის სიმაღლეში არ იანგარიშება მისი კონსტრუქციული მდგრადობისთვის განკუთვნილი დგარები ან/და სვეტები, რომელთა სიმაღლე გრუნტის ზედაპირიდან არ აღემატება 2.5 მ-ს, კვეთის ზომები არ აღემატება 40 სმ-ს და დაშორება სვეტებს შორის არ არის 2,0 მ-ზე ნაკლები. მოიყვანეთ შესაბამისობაში.

4. წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით.

განგიმარტავთ, რომ ms.gov.ge-ზე დაემატა „საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის“ კატეგორია და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმებისთვის უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და განცხადება დაარეგისტრირით ms.gov.ge-ზე („საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის“ კატეგორიაში). ხოლო, სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემა უნდა შეათანხმოთ ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან. საბოლოო შეთანხმებული სქემები წერილებთან ერთად წარმოდგემილი იქნას არქიტექტურის სამსახურში.

5. ვინაიდან ტერიტორიაზე (საპროექტო შენობა-ნაგებობის სიახლოვეს) გადის ხაზოვანი ნაგებობა 6-10 კვ. ელ გადამცემი ხაზი (ს/კ 01.01.451; მესაკუთრე: სს "თლასი"), საჭიროა წარმოადგინოთ სს "თლასი"-ს თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე, როგორც წერილობითი, ასევე დამოწმებული გენგეგმის სახით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისათვის გეძლევათ 30 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევასი განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.